# მულტი-რელიგიური საქართველო

"სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვეყნისა? ერი-გულადი, პურადი, მებრძოლი შავის ბედისა?!,, მიუხედავად თავს დამტყდარი უბედურებებისა, დიდი ქარტეხილებისა ქართველი ხალხი დარჩა მხნე, გაუტეხელი, სამშობლო მიწის მოყვარული და საქართველო მულტიკულტურული ქვეყანა გახლავთ.

როცა გათენებისას მზე მაღლა ისწრაფვის,ჯერ მთების თხემებზე კელაპტარივით ანათებს,შემდეგ კი სრულად იცვამს თავის სამოსელს და ქვეყნიერებას სინათლით ავსებს.მაშინ უნდა ნახოთ ჩემი სოფლის განათებული სახე,როგორ მდიდრულად მორთულ-მოკაზმულა მისი ტანი,აუარებელი ყვავილთა გროვა აფენია გულმკერდზე.

აღელვებული,აბობოქრებული შავი, ჯმუხი ღრუბლები ციდან დაბლა,ხეობაში,ჩაბერტყილან...ფიქრების ოკეანეში დაიკარგება ადამიანი ამ სილამაზის შემყურე,თუმცა ეს არაფერი, თქვენ არ გინახავთ დილით მდუმარე კოპწია სახლები,გაღმა-გამოღმიდან ერთმანეთის შემყურე...მათი მდუმარება მაშინ ირღვევა,როცა მწვანით მოსილ ბილიკებზე ბავშვების ხალისიან ჟივილ-ხივილს ისმენენ...სკოლაში მიმავალი ბავშვების სწავლას მოწყურებულ თვალებს ხედავენ...

მეც,ბავშვებთან ერთად ყოველ დილით ვარღვევ მდუმარებას და კიბეების შეყოლებით მაღლა,ცივ ქვაფენილებზე,ჩუმი ნაბიჯებით ამაყად მომზირალ სკოლას ღიმილიანი სახით ვესალმები.მედიდურად დაგს მაღლობზე სკოლა...გადმოჰყურებს ნასაკირალს და თითქოს სიამაყით უკითხავს სოფელს გალაკტიონის ტაეპებს: ,, ვეხდავ სურებს,ვხედავ დაფნარს,ვხედავ მდუმარ ნასაკირალს,ვხედავ სოფელს სიცოცხლისას,განახლების თვალით მზირალს.,, და ამით ყველას ამცნობს, რომ ის სიცოცხლის საწყისია,რომ ის არღვევს მდუმარებას, რომ მისით იწყებს სუნთქვას ყოველი არსება და ამ ყველაფრის გამო იგი სიხარულით ივსება. უფრო მაშინ უხარია,როცა ჩვენ,ბავშვები, გაკვეთილებზე ცნობისმოყვარე თვალებით შევცქერით მასწავლებლებს და განაბულები ვუსმენთ, იქნებ რაიმე ახალი კიდევ გავიგოთო...

მე ვცხოვრობ ქრისტიანულ სახელმწიფოში, მაგრამ ვარ ქართველი მუსლიმი,რომელიც სკოლაში სხვებისგან განსხვავდება, სუბკულტურის ნაწილი და მულტიკულტურული საქართველოს მკვიდრი შვილი ვარ.

მე დაბადებიდან მუსლიმი ვარ,დღეს, როცა საზოგადოებში ჩემი ადგილის მოძებნა დავიწყე, როგორც მუსლიმმა, ამაში,უპირველეს ყოვლისა, იმ გარემოებამ შემიშალა ხელი, რომ საუკუნეების განმავლობაში ქართველ ხალხში მცდარი აზრი ინერგებოდა იმის შესახებ, რომ ისალმი არის სახელმწიფოსა და ქართველი ერის მტერი. ამ აზრს ისიც ამტკიცებს, რომ ისლამის აღმსარებელი სახელმწიფოები, ირანი და ოსმალეთი, საუკუნეების განმავლობაში საქართველოს სრულ ანექსიას ცდილობდნენ.

მაგრამ გონიერ ადამიანს დაებადება კითხვა, თუ ჩვენ ირანი და ოსმალეთი გვებრძოდნენ, რა შუაშია აქ ისლამი?! რადგან, ამავე ლოგიკით თუ ვიმსჯელებთ, იმ უბედურებებიდან გამომდინარე, რომლებიც ბოლო თითქმის 250 წლის განმავლობაში საქართველოში რუსეთმა დაატრიალა, მაშინ ჩვენი მტერი მართლმადიდებლური რელიგია უნდა იყოს. ეს კი ამ კონტექსტში ისეთი აბსურდია,რომლის მსგავსსაც ადამიანი ძნელად იპოვის.

ასე სულ ერთი ხელის მოსმითა და ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე შეიძლება, დავამტკიცოთ, რომ ისლამი და, საერთოდ, მუსლიმები არც თავიანთი არსითა და არც ისტორიული რეალობიდან გამომდინარე ქართველთა მტერი არასოდეს ყოფილან.

ჩვენს ქვეყანაში მრავალი აღმსარებლობის ადამიანი მკვიდრობს. თითოეული მათგანი თავისი რელიგიის მიხედვით ცხოვრობს, თუმცა სხვა რელიგიური სუბკულტურის წარმომადგენლებთანაც მშვიდობიანად თანაცხოვრობს.

მე ყოველდღიურ ცხოვრებაში ხშირად მაქვს ურთიერთობა სხვა რელიგიური აღმსარებლობის ადამიანებთან, თუმცა არასდროს მიგრძნია მკვეთრი განსხვავება ჩვენს სუბკულტურებს შორის, რადგან, მიუხედავად ჩვენი რელიგიური განსხვავებულობისა, საერთო მაინც ბევრი გვაქვს, ყველაზე მნიშვნელოვანი კი ქართველობაა. ამიტომაც ჩვენს ქვეყანაში არასდროს ყოფილა რელიგიური დაპირისპირება და დღესაც მუსლიმი,ქრისტიანი,იუდეველი მშვიდობიანად თანაცხოვრობენ.

მე, ჩემი რელიგიური აღმსარებლობიდან გამომდინარე, სხავნაირად გამოვიყურები, მაგრამ არასდროს მიგრძნია დისკომფორტი საზოგადოების სხვა წევრებთან ურთიერთობისას. ამას, ალბათ, ისევ ჩემი ქვეყნის ტრადიციებსა და ჩემი ხალხის კეთილგონიერებას უნდა ვუმადლოდე.

მიუხედავად ამისა, მაინც შეიძლება, ბევრმა ჩათვალოს, რომ ისლამის მიღებით ჩვენ ეროვნულ მეობას დავკარგავდით და სპასრელებსა თუ ოსმალებში ,,ავითქვიფებოდით. ,, მე, როგორც პატარა ,,დისიდენტს, ,, ეს მოსაზრება სრულიად არარაეალურ არგუმენტად მიმაჩნია. გონიერი კაცი მაშინვე მოიყვანს მრავალი, ჩვენზე პატარა ერის, ან თუნდაც ჩვენი ქართველი აჭარლების, მაგალითს , რომლებსაც ისლამის მიღებამ ეროვნული თვითმყოფადობა კი არ დაუკარგა, არამედ უფრო გაუათკეცა და განუმტკიცა. და, თუ რომელიმე რელიგიისადმი კუთვნილებამ უნდა განსაზღვროს ჩვენი ყოფნა-არყოფნის ბედი, მაშინ, როგორც ერის, არსებობის ღირსნიც არ ვყოფილვართ.

საქართველოში მრავალი კულტურის წარმომადენელი ცხოვრობს, მიუხედავად ამისა, ჩვენ ერთ ერს, ერთ მთლიან სხეულს, საზოგადოებას წარმოვადგენთ და ღმერთმა ნუ ქნას, გავამართლოთ ილია ჭავჭავაძის გულისტკივილი: ,,ვაი, იმ ხალხს, რომელსაც საერთო მარღვი გაუწყდა, ვაი იმ ქვეყანას, საცა საერთო მარღვში სისხლი გაშრა,საცა ყველაში თვითო არის და თვითოში ყველა, საცა თვითოეული ყველასთვის არ ფიქრობსა და ყველა თვითოეულისთვის, საცა ,,მე,, ხშირია და ,, ჩვენ,, - იშვიათი!... ,,

ს.ს.ი.პ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ნასაკირალის საჯარო სკოლის

XI კლასის მოსწავლე მეა ირემაძე

[redacted]